# კონვენცია სასტუმროს მეპატრონეთა პასუხისმგებლობის შესახებ მათი სტუმრების საკუთრებასთან დაკავშირებით

**პარიზი, 1962 წლის 17 დეკემბერი**

ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების, ქვემორე ხელისმომწერი მთავრობები,

ითვალისწინებენ იმას, რომ ევროპის საბჭოს მიზანია, მის წევრებს შორის უფრო ახლო ერთიანობის მიღწევა, inter alia სამართლებრივ საკითხებში საერთო წესების მიღებით;

მიზანშეწონილად მიაჩნიათ რა, ჰარმონიზებულ იქნას გარკვეული წესები სასტუმროს მეპატრონეთა პასუხისმგებლობის შესახებ, მათი სტუმრების საკუთრებასთან დაკავშირებით;

შეთანხმდნენ შემდეგზე:

**მუხლი 1**

1. თითოეული ხელშემკვრელი მხარე იღებს ვალდებულებას, ამ მხარისათვის წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლიდან თორმეტი თვის განმავლობაში, რომ მისი ეროვნული კანონმდებლობა იქნება შესაბამისობაში წინამდებარე კონვენციის დანართში, სასტუმროს მეპატრონეთა პასუხისმგებლობის შესახებ მათი სასტუმროების საკუთრებასთან დაკავშირებით მოცემულ წესებთან.

2. თითოეული ხელშემკვრელი მხარე, ამისდა მიუხედავად, იქნება თავისუფალი დააწესოს სასტუმროს მეპატრონეთა უფრო დიდი პასუხისმგებლობა.

3. თითოეული ხელშემკვრელი მხარე მიაწოდებს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს კონვენციით მოწესრიგებულ საკითხებთან დაკავშირებული ნებისმიერი კანონმდებლობის ოფიციალურ ასლებს.

**მუხლი 2**

თითოეული ხელშემკვრელი მხარე იტოვებს შესაძლებლობას:

ა. დანართის პირველი მუხლის მესამე პუნქტის დებულებათა მიუხედავად, შეზღუდოს სასტუმროს მეპატრონეთა პასუხისმგებლობა ოთახის დღიური საფასურის ოდენობის ასმაგი ოდენობით მაინც;
ბ. დანართის პირველი მუხლის მესამე პუნქტის დებულებათა მიუხედავად, შეზღუდოს პასუხისმგებლობა ნებისმიერი საგნის მიმართ იმ თანხამდე, რომელიც არ ჩამოუვარდება 1 500 ოქროს ფრანკის ექვივალენტს, ან როდესაც წინამდებარე მუხლის წინამორბედი პუნქტი გამოიყენება ოთახის დღიური საფასურის ორმოცდაათმაგი ოდენობის მინიმუმამდე;
გ. მიიღოს დანართის პირველი მუხლის მეორე პუნქტში ჩამოყალიბებული წესი, მხოლოდ იმ საკუთრებასთან მიმართებაში, რომელიც იმყოფება სასტუმროში;
დ. დანართის მე-6 მუხლის დებულებათა მიუხედავად, ნება დართოს სასტუმროს მეპატრონეებს შეამცირონ მათი პასუხისმგებლობა იმ შემთხვევებში, როდესაც გამოიყენება დანართის მეორე მუხლის პირველი პუნქტი ან მეოთხე მუხლი, არ არის შემთხვევები სადაც განზრახი ან მცდარი განზრახვის ფაქტია სახეზე, სტუმართან, მის მიერ ხელმოწერილი შეთანხმებით და რომელიც არ მოიცავს სხვა პირობებს; თუმცა, სასტუმროს მეპატრონეთა პასუხისმგებლობა შეიძლება შემცირდეს

იმ თანხაზე მეტად, რომელიც გათვალისწინებულია წინამდებარე კონვენციის შესაბამისად ამოქმედებული კანონმდებლობით;
ე. დანართის მე-7 მუხლის დებულებათა მიუხედავად, დანართში მოცემული წესების გამოყენება სატრანსპორტო საშუალებების, მათთან დატოვებული საკუთრების და ცხოველების მიმართ, ან მოაწესრიგოს სასტუმროს მეპატრონეთა პასუხისმგებლობა ამ თვალსაზრისით ნებისმიერ სხვა გზით.

**მუხლი 3**

1. წინამდებარე კონვენცია გამოიყენება ხელშემკვრელ მხარეთა მეტროპოლიურ ტერიტორიებზე.

2. ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს, წინამდებარე კონვენციის ხელმოწერის ან რატიფიკაციის, მიღების ან მიერთების შესახებ ინსტურმენტის დეპონირებისას, ან ნებისმიერ მომდევნო დროს, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე მიმართული შეტყობინებით, შეუძლია განაცხადოს, რომ წინამდებარე კონვენცია გამოიყენება შეტყობინებაში მითითებულ იმ ტერიტორიასა ან ტერიტორიებზე, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობებზე ის არის პასუხისმგებელი ან რომლისათვისაც ის არის უფლებამოსილი მიიღოს კანონმდებლობა.

3. წინამორბედი პუნქტის შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი განცხადება, ასეთ განცხადებაში მითითებული ნებისმიერი ტერიტორიის მიმართ, შეიძლება იქნას გაუქმებული წინამდებარე კონვენციის მე-6 მუხლში ჩამოყალიბებული პროცედურის თანახმად.

**მუხლი 4**

1. წინამდებარე კონვენცია ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისთვის. იგი ექვემდებარება რატიფიკაციას ან მიღებას. რატიფიკაციის ან მიღების შესახებ ინსტრუმენტები დეპონირდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

2. კონვენცია ძალაში შევა რატიფიკაციის ან მიღების შესახებ რიგით მესამე ინსტრუმენტის დეპონირების თარიღიდან სამი თვის შემდეგ.

3. იმ ხელმომწერი მთავრობის მიმართ, რომელიც შემდგომში მოახდენს რატიფიცირებას ან მიღებას მას, კონვენცია ძალაში შევა რატიფიკაციის ან მიღების შესახებ ინსტურმენტის დეპონირების თარიღიდან სამი თვის შემდეგ.

**მუხლი 5**

1. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს შეუძლია წინამდებარე კონვენციასთან მისაერთებლად მოიწვიოს ევროპის საბჭოს ნებისმიერი არაწევრი სახელმწიფო.

2. მიერთება განხორციელდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან მიერთების შესახებ ინსტრუმენტების დეპონირებით, რომელიც ძალაში შევა დეპონირების თარიღიდან სამი თვის შემდეგ.

**მუხლი 6**

1. ხელშემკვრელ მხარეს არ შეუძლია წინამდებარე კონვენციის დენონსაცია, ამ მხარისათვის კონვენციის ძალაში შესვლიდან ხუთი წლის განმავლობაში. ასეთი დენონსაცია განხორციელდება ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე მიმართული შეტყობინების გზით.

2. დენონსაცია, შესაბამისი ხელშემკვრელი მხარისათვის ძალაში შევა ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ ასეთი შეტყობინების მიღების თარიღიდან ექვსი თვის შემდეგ.

**მუხლი 7**

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი შეატყობინებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს და ნებისმიერი იმ სახელმწიფოს მთავრობას, რომელიც მოუერთდა წინამდებარე კონვენციას:

ა. ნებისმიერი ხელმოწერისა და რატიფიკაციის, მიღების ან მიერთების შესახებ ინსტრუმენტის დეპონირების თაობაზე;
ბ. ნებისმიერი სახელმწიფოსათვის კონვენციის ძალაში შესვლის თარიღის შესახებ;
გ. მე-3 და მე-6 მუხლების დებულებათა შესაბამისად მიღებულ ნებისმიერ შეტყობინებას.

რის დასტურადაც, ამაზე ჯეროვნად უფლებამოსილმა ქვემორე ხელისმომწერებმა, მოვაწერეთ ხელი წინამდებარე კონვენციას.

შესრულებულია პარიზში 1962 წლის დეკემბრის თვის 17-ე დღეს ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, ერთ ეგზემპლარად, ამასთან ორივე ტექსტი თანაბრად ავთენტურია და ინახება ევროპის საბჭოს არქივში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი გადაუგზავნის დამოწმებულ ასლებს თითოეულ ხელმომწერსა და მიერთებულ მთავრობას.

**დანართი**

**მუხლი 1**

1. სასტუმროს მეპატრონე პასუხისმგებელია სასტუმროში საძინებელი ფართით უზრუნველყოფილი სტუმრის მიერ, სასტუმროში შეტანილი საკუთრების ზიანის, განადგურების ან დაკარგვისათვის.

2. ნებისმიერი საკუთრება

ა. რომელიც განთავსებულია სასტუმროში იმ დროს, როდესაც სტუმარს გააჩნია ფართი მის განკარგულებაში;
ბ. რომელზეც სასტუმროს მეპატრონე ან პირი, რომელზეც ის აგებს პასუხს იღებს პატრონობაში სასტუმროში ან მის გარეთ, იმ დროს როდესაც სასტუმროს გააჩნია ფართი მის განკარგულებაში; ან
გ. რომელზეც სასტუმროს მეპატრონე ან პირი რომელზეც ის აგებს პასუხს იღებს პატრონობაში სასტუმროში ან მის გარეთ, იმ დროის წინამორბედ ან მომდევნო გონივრულ ვადებში, როდესაც სტუმარს გააჩნია ფართი მის განკარგულებაში;

3. პასუხისმგებლობა ლიმიტირებული იქნება 3 000 ოქროს ფრანკის ექვივალენტამდე.

4. წინამორბედ პუნქტში ნახსენები ოქროს ფრანკი გულისხმობს ერთეულს, რომელიც შედგება 900-იანი სინჯის ოქროს სამოცდახუთნახევარი მილიგრამისაგან.

**მუხლი 2**

1. სასტუმროს მეპატრონის პასუხისმგებლობა შეუზღუდავია:

ა. როდესაც საკუთრება მას გადაეცა შესანახად;
ბ. როდესაც მან უარი განაცხადა მიეღო აკუთრება, რომელიც იგი ვალდებული იყო მიეღო მათი უსაფრთხოებისათვის.

2. სასტუმროს მეპატრონე ვალდებულია მიიღოს ფასიანი ქაღალდები, ფული და ძვირფასი ნივთები; მას შეუძლია უარი თქვას ასეთი საკუთრების მიღებაზე, მხოლოდ იმ შემთხვევებში,

როდესაც ეს საშიშია ან, სასტუმროს სიდიდისა და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, ეს გადაჭარბებული სიდიდისა და მოცულობისაა.

3. სასტუმროს მეპატრონე უფლებამოსილია მოითხოვოს, რომ ნივთი იყოს შეკრული ან დაბეჭდილი კონტეინერში.

**მუხლი 3**

სასტუმროს მეპატრონე არ ჩაითვლება პასუხისმგებლად თუ, ზიანი, განადგურება ან დაკარგვა გამოწვეულია:

ა. სტუმრით ან მისი თანმხლები ნებისმიერი პირით ან მის სამსახურში ან მასთან სტუმრად მყოფი პირით;
ბ. ბუნების წინასწარ ამოუცნობი და წინააღმდეგობის აზრს მოკლებული აქტით ან საომარი მოქმედებით;
გ. ნივთის ბუნებით.

**მუხლი 4**

სასტუმროს მეპატრონე პასუხისმგებელია და ვერ ისარგებლებს წინამდებარე დანართის პირველი მუხლის მესამე პუნქტში დადგენილ მისი პასუხისმგებლობის შემზღუდველი სარგებლით, როდესაც ზიანი, განადგურება ან დაკარგვა განპირობებულია მისი ან იმ პირთა განზრახი ქმედებით ან დაუდევრობით, რომელთა მოქმედებებზეც ის აგებს პასუხს.

**მუხლი 5**

გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გამოიყენება დანართის მე-4 მუხლი, სტუმარს ერთმევა უფლება ისარგებლოს წინამდებარე მუხლების დებულებებით, თუ ზიანის, განადგურების ან დაკარგვის აღმოჩენის შემდეგ, მან დიდი დაგვიანებით ჩააყენა საქმის ყურში სასტუმროს მეპატრონე.

**მუხლი 6**

ნებისმიერი შეტყობინება ან შეთანხმება, რომლის მიზანიცაა სასტუმროს მეპატრონის პასუხისმგებლობის გამორიცხვა ან შემცირება, მიცემული ან შედგენილი დაზიანებამდე, განადგურებამდე ან დაკარგვაზე ადრე ჩაითვლება გაუქმებულად და უკანონოდ.

**მუხლი 7**

წინამდებარე დანართის დებულებანი არ გამოიყენება სატრანსპორტო საშუალებების, ან მათში დატოვებული საკუთრებისა და ცხოველების მიმართ.